სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური

ანგარიში

2024

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, ზრუნვაზე ორიენტირებული, უსაფრთხო და ძალადობისგან თავისუფალი სასკოლო გარემოს ხელშეწყობის მიზნით, აქტიურად განაგრძობს მნიშვნელოვანი მხარდამჭერი პროექტების განხორციელებას.[1]

2024 წლიდან, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში 2023 წლის 15 ნოემბერს განხორციელებული ცვლილების თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების განათლებასთან დაკავშირებული სერვისების განხორციელება გადაეცა სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს, რომელშიც გაერთიანდა განათლების სისტემის სხვადასხვა უწყებაში მანამდე არსებული, სსსმ მოსწავლეთა განათლების მხარდამჭერი მომსახურებები.

შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფუნქციები ამჟამად 3 უმნიშვნელოვანეს მიმართულებას მოიცავს:

უსაფრთხოების კომპონენტი - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურების საქმიანობა სკოლებში, მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელების მიზნით;

ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი - მოსწავლეების, მათი მშობლებისა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართული პირების უფასო, მაღალკვალიფიციური ფსიქოსოციალური მხარდაჭერა;

ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრი - ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საკონსულტაციო მომსახურებები.

[1] გასულ წლებში, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშების ნახვა შესაძლებელია სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.mandaturi.gov.ge

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურები

დღეისთვის, მანდატურის სამსახური წარმოდგენილია საქართველოს **720** საჯარო სკოლაში, სადაც სწავლობს მოსწავლეთა 90 პროცენტზე მეტი, ასევე, 2 კერძო სკოლასა და 1 პროფესიულ კოლეჯში.

ქვეყნის შედარებით მცირეკონტინგენტიან სკოლებში უსაფრთხოებას და საზოგადოებრივ წესრიგს უზრუნველყოფენ სკოლის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირები, რომლებიც საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ არიან გადამზადებულნი. 2024 წლის განმავლობაში, გადამზადდა 54 უფლებამოსილი პირი.

2024 წელს, გასული წლების მსგავსად, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურები, სკოლებში ძალადობის პრევენციის მიზნით, სხვადასხვა მტკიცებულებაზე დაფუძნებული მეთოდებითა და მიდგომებით, სისტემატურად ატარებდნენ საინფორმაციო და საგანმანათლებლო შეხვედრებსა და ცნობიერების ასამაღლებელ კამპანიებს მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და მშობლებთან, ისეთ თემებზე, როგორიცაა: ძალადობის, მათ შორის - ბულინგის, კიბერბულინგის, სიძულვილის ენის გავლენის შედეგები, პრევენცია და რეაგირება; ანტიდისკრიმინაციული მიდგომები, ტოლერანტობა, სტერეოტიპები, ადამიანის უფლებები; ადრეული ქორწინება და გენდერული დისკრიმინაცია; კრიმინალური იდეოლოგია/სუბკულტურა; საგზაო უსაფრთხოება; ეფექტიანი კომუნიკაცია და სხვა. აღნიშნულ აქტივობებში, ყოველწლიურად, ათასობით მოსწავლე, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი და მშობელი ერთვება.

საანგარიშო პერიოდში, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურების, ასევე, მანდატურის სამსახურის დაგეგმარებისა და ანალიზის სამმართველოს კოორდინატორების მიერ ჩატარდა:

- გაცნობითი ხასიათის 1 684 შეხვედრა I კლასის მოსწავლეებთან.
- 9 707 შეხვედრა საგზაო უსაფრთხოების თემაზე, I-VIII კლასების მოსწავლეებთან.
- რეგულარული სასკოლო აქტივობები მოსწავლეებთან, ისეთ თემებზე, როგორიცაა: ანტიდისკრიმინაციული მიდგომები, სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა, ძალადობა, ბულინგი, კიბერბულინგი, გენდერული თანასწორობა, ტოლერანტობა, ადრეულ ასაკში ქორწინება, ოჯახში ძალადობა, ადამიანის უფლებები, ბავშვთა უფლებები. წლის განმავლობაში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საჯარო სკოლების მოსწავლეებთან მანდატურის სამსახურის ტრენერი მანდატურების მიერ ჩატარებულ აქტივობებში მონაწილეობა მიიღო 24 327 მოსწავლემ.
- საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურებმა და კოორდინატორებმა მანდატურის სამსახურის საქმიანობის, ასევე კიბერბულინგისა და სიძულვილის ენის შესახებ შეხვედრები გამართეს სკოლების დირექტორებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეთა მშობლებთან. წლის განმავლობაში, გაიმართა 261 შეხვედრა, რომელსაც დაესწრო 7 788 მონაწილე.

- მანდატურის სამსახურის ორგანიზებით, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურებმა და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლებმა, მთელი საქართველოს მასშტაბით 244 საგანმანათლებლო დაწესებულებაში, პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფის საკითხებზე, ცნობიერების ასამაღლებელი კამპანია ჩაატარეს მოსწავლეების, მათი მშობლებისა და სკოლის წარმომადგენლების მონაწილეობით. შეხვედრების ფარგლებში, განიხილეს მანდატურის სამსახურის საქმიანობასთან, ასევე, სიძულვილის ენასა და კიბერბულინგთან დაკავშირებული საკითხებიც.
- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ორგანიზებითა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, ქ. ბათუმსა და ქ. ოზურგეთში, მოეწყო ბავშვთა უფლებების თემაზე მოსწავლეების მიერ მომზადებული პოსტერებისა და ნახატების გამოფენა, ასევე, გაიმართა ინტელექტუალური თამაში თანასწორობის შესახებ.

- 2024 წლის ნოემბერში, თანასწორობის კვირეულის - „მე ვირჩევ თანასწორობას“ ფარგლებში, საქართველოს 18 საჯარო სკოლაში, მოეწყო არადისკრიმინაციულ მიდგომების, სტერეოტიპებისა და ადამიანის უფლებების თემებზე ბავშვების მიერ მომზადებული პოსტერებისა და ნახატების გამოფენა, რომელსაც წინ უძღვოდა ტრენერი მანდატურებისა და კოორდინატორების საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები მოსწავლეებთან.

- 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში, „ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ გლობალური კამპანიის“ ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით 14 საჯარო სკოლაში, ტრენერმა მანდატურებმა და კოორდინატორებმა მოსწავლეებთან ადრეული ქორწინების თემაზე საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები გამართეს. კამპანიის დასასრულს, მოეწყო ბავშვების მიერ შექმნილი ნახატებისა და პოსტერების გამოფენა.
- ევროპის საბჭოს პროექტის „ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ მხარდაჭერითა და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ორგანიზებით, ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ქ. თბილისში, ქ. ბათუმსა და ქ. ქუთაისში გაიმართა საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 276 მოსწავლემ და 45 სკოლის წარმომადგენელმა.

მანდატურის სამსახური დიდ ყურადღებას უთმობს თანამშრომლების განგრძობითი განათლების უწყვეტ პროცესს. საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, ასევე, შიდა რესურსით, სამსახურის თანამშრომლები რეგულარულად გადიან გადამზადებას სხვადასხვა თემაზე, რაც მათ კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ განვითარებაში უწყობს ხელს.

2024 წელს, ევროპის საბჭოს ექსპერტების მიერ განხორციელდა 2020 წელს მანდატურის სამსახურისთვის შექმნილი ადამიანის უფლებათა სწავლების პროგრამის განახლება. აღნიშნული პროგრამა, სახელმძღვანელოს სახით, გადმოეცა საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს. ადამიანის უფლებათა სწავლების პროგრამით, ტრენერად გადამზადდა მანდატურის სამსახურის 30-მდე თანამშრომელი.

2024 წელს, ასევე განახლდა გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ 2022 წელს მანდატურის სამსახურისთვის შექმნილი მოდული - „გენდერული მეინსტრიმინგი განათლებაში: ძალადობა გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობა“. მოდულს დაემატა ახალი სესია - ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი ძალადობის შესახებ. აღნიშნული პროგრამით, ტრენერთა ტრენინგი გაიარა მანდატურის სამსახურის 40 სოციალურმა მუშაკმა და საგანმანათლებლო დაწესებულების 30 მანდატურმა.

2024 წლის განმავლობაში, მოსწავლეებისთვის მომსახურების მიწოდებისა და რეფერირების მექანიზმის ფარგლებში, მანდატურის სამსახური აგრძელებდა მჭიდრო თანამშრომლობას შესაბამის სახელმწიფო და არასამთავრობო უწყებებთან. საჭიროებიდან გამომდინარე, ხორციელდებოდა კონკრეტული შემთხვევების ერთობლივი განხილვა.

კოორდინირებული თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები, სკოლებში უსაფრთხოების კუთხით არსებულ გამოწვევებთან, მათი დაძლევის გზებთან და მანდატურის სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებით, სისტემატურად მართავდნენ შეხვედრებს რესურსცენტრებთან, სკოლის დირექტორებთან და მასწავლებლებთან.

2024 წლის ოქტომბერში, გურიის მხარეში, ქალაქ ოზურგეთში, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ახალი ოფისი გაიხსნა. თანამედროვე სტანდარტების შენობაში განთავსდა მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი, ასევე, დაგეგმარებისა და ანალიზის სამმართველო. მოეწყო ბავშვთა თერაპიის ოთახები, რომლებიც სრულად არის ადაპტირებული და მორგებული ბავშვთა საჭიროებებზე.

ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი აგრძელებს მაღალკვალიფიციური, უფასო ფსიქოსოციალური მომსახურების მიწოდებას საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეების, მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართული სხვა სუბიექტებისთვის.

ამ ეტაპზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ფუნქციონირებს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის 11 ოფისი (თბილისი - 2, თელავი, რუსთავი, გორი, ახალციხე, ქუთაისი, ზუგდიდი, ფოთი, ბათუმი, ოზურგეთი).

ცენტრში დასაქმებულია 57 ფსიქოლოგი, ბავშვთა და მოზარდთა 2 ფსიქიატრი და 3 პროფესიული ზედამხედველი ფსიქოლოგიური მუშაობის მიმართულებით, ასევე, 4 პროფესიული ზედამხედველი - სოციალური მუშაობის მიმართულებით და 88 სოციალური მუშაკი, საიდანაც 6 - რაიონული კოორდინატორია.

ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი ახორციელებს პრევენციულ და ინტერვენციულ ღონისძიებებს, როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ და სასკოლო დონეზე.

ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს 24 საათიანი ცხელი ხაზი: **08 00 00 00 88,** რომლის მიზანია ბენეფიციარებისთვის ფსიქოლოგიური კონსულტაციის გაწევა და კომპეტენციის ფარგლებში, მომსახურების მიმღებთათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება. საანგარიშო პერიოდში, 24 საათიან ცხელ ხაზზე მიღებულია 648 შეტყობინება.

საკონსულტაციო მომსახურების მიზნით, ასევე ფუნქციონირებს ვებ-გვერდი **befriend.mes.gov.ge,** რომელიც მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას, სრული კონფიდენციალურობის დაცვით, ონლაინ სასაუბროს საშუალებით, მიიღოს კვალიფიციური ფსიქოლოგიური კონსულტაცია.

2024 წლის განმავლობაში, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში რეაგირებისთვის სულ შემოვიდა 5 849 ახალი შემთხვევა. აქედან, 4 638 შემთხვევის რეფერირება განხორციელდა სკოლებიდან, ხოლო 1 211 ბენეფიციარმა ცენტრს თვითდინებით მიმართა და/ან იდენტიფიცირებული იქნა ცენტრის თანამშრომლის მიერ.

გასული წლების მსგავსად, 2024 წელს, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი აქტიურად განაგრძობდა ბავშვთა და მოზარდთა ჯგუფურ კონსულტაციას, თერაპიასა და მშობელთა ფსიქოგანათლებას. ცენტრის ბაზაზე, განხორციელდა ბავშვთა და მოზარდთა 46, ხოლო მშობელთა ფსიქოგანათლებისა და ფსიქოკონსულტირების 11 ჯგუფი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში ფუნქციონირებას აგრძელებს კრიზისული ინტერვენციის ჯგუფი, რომლის მიზანია კრიზისული შემთხვევების ადგილზე შეფასება, სიტუაციის პირველადი მართვა, შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა და შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვა. გუნდი, საჭიროებისამებრ, მუშაობს მოსწავლეთა მშობლებთან და სკოლასთან. მსგავსი მიდგომა მნიშვნელოვნად ამცირებს ბავშვებსა და მოზარდებში ფსიქოლოგიური ტრავმის ჩამოყალიბების რისკს. 2024 წლის განმავლობაში, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის თანამშრომლების მიერ, კრიზისული ინტერვენციის ფარგლებში, სკოლებში განხორციელდა 8 ვიზიტი; ხოლო შემთხვევაზე რეაგირების მიზნით - 1 984 ვიზიტი სკოლაში და 2 527 ვიზიტი ოჯახში.

2024 წლის განმავლობაში, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა აქტიურად გააგრძელა სკოლებში სოციალური მუშაობის კომპონენტის დანერგვა და სოციალური მუშაკების როლის გაძლიერება, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესში მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლებისა და მასწავლებლების მხარდაჭერას, ასევე, მოსწავლეთა სოციალური განვითარებისთვის ხელშემშლელი ფაქტორების შემცირებასა და აღმოფხვრას.

2024 წელს, მანდატურის სამსახური, სოციალური მუშაობის კომპონენტით, დამატებით 17 საჯარო სკოლაში შევიდა. ამ ეტაპზე, სოციალური მუშაობა ხორციელდება საქართველოს **80** საჯარო სკოლაში.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი აგრძელებს მუშაობას სკოლებში აღდგენითი პროცესების დანერგვის მიმართულებით. აღნიშნული მიდგომა სკოლებს სთავაზობს ახლებურ ხედვას, რომელიც ორიენტირებულია არა დასჯაზე/სახდელზე, არამედ ურთიერთობების აღდგენაზე, საჭიროებების მიგნებასა და გააზრებაზე, ურთიერთპატივისცემის დანერგვასა და მეგობრული გარემოს შექმნაზე. აღდგენითი მიდგომა ბევრ მნიშვნელოვან კომპონენტს მოიცავს, მათ შორის, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში უპრეცედენტო პროექტი - სასკოლო მედიაცია, რაც აღდგენითი პროცესების, კონფლიქტებზე რეაგირების და მათი კონსტრუქციული გზით გადაჭრის ერთ-ერთი საუკეთესო მექანიზმია. მედიაციის პროცესს მანდატურის სამსახურის გადამზადებული სპეციალისტები უძღვებიან. 2024 წელს, ევროკავშირის მხარდაჭერით, მედიატორად მანდატურის სამსახურის კიდევ 20 თანამშრომელი გადამზადდა.

2024 წელს, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური სკოლებში ახორციელებდა სოციალურ მუშაობას ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებებით, როგორიცაა: მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირება, ძალადობისგან თავისუფალი სასკოლო გარემოს ხელშეწყობა, ბულინგის პრევენცია, სარისკო ქცევების პრევენცია, მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობის ხელშეწყობა და სხვა. მოსწავლეზე ორიენტირებული, უსაფრთხო, ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბება შესაძლებელს ხდის, სკოლაში გაუმჯობესდეს მოსწავლის სწავლის ხარისხი.

2024 წლის გაზაფხულის სემესტრში, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სოციალურმა მუშაკებმა თბილისის 25 და მცხეთის 2 საჯარო სკოლაში განხორციელეს სკოლის საჭიროებების შეფასება სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან, ადმინისტრაციასთან/დირექციასთან, ფოკუსირებული შეხვედრების მეთოდის გამოყენებით. საჭიროებების შეფასების შედეგად, განისაზღვრა სკოლასთან თანამშრომლობის და მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებები, რომელიც მოიცავს: სკოლაში თანაბარი/თანასწორუფლებიანი გარემოს ფორმირებას, მოსწავლეთა ფსიქოსოციალური

კეთილდღეობის ხელშეწყობას, ბულინგზე რეაგირების კუთხით სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, სკოლის თვითმმართველობის გააქტიურებასა და არაფორმალურ განათლებაში მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდას, მოსწავლეთა და მასწავლებელთა წამახალისებელი აქტივობების დაგეგმვას, მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში მშობლების ჩართულობის წახალისებას თემატური, საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზების გზით, სსსმ და შშმ მოსწავლეების მშობლებთან კომუნიკაციის გაუმჯობესებას, მოსწავლეთა ფორმალურ სასკოლო აქტივობებში ჩართვისა და აკადემიური მოსწრებაზე დადებითი ზეგავლენის ხელშეწყობას.

2024 წლის განმავლობაში, სოციალური მუშაობის კომპონენტით წარმოდგენილ სკოლებში ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სპეციალისტების მიერ/ან მათი მხარდაჭერითა და სუპერვიზიით, ჩატარდა სხვადასხვა მიზანსა და ამოცანაზე ორიენტირებული ღონისძიებები. საინფორმაციო, საგანმანათლებლო, შემეცნებით, სპორტულ, სადისკუსიო და საინტერვენციო აქტივობაში ჩაერთო: 11 564 მასწავლებელი; 1 596 დირექციის წარმომადგენელი; 136 140 მოსწავლე; 21 210 მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი.

მოსწავლეებისთვის - განხორციელდა თითოეულ კლასში ფასეულობებისა და ღირებულებების განახლება; ჩატარდა ტრენინგი ეფექტური კომუნიკაციის საკითხებზე; შეიქმნა სკოლის კლუბები; გააქტიურდა სკოლის თვითმმართველობები; გაიმართა შეხვედრები ადამიანის უფლებების და ბავშვთა ასაკში ქორწინების თემებზე, ასევე, პროფორიენტაციის საკითხებზე; ჩატარდა ემპათიის და ემოციების განვითარების აქტივობები; გაიმართა სხვადასხვა ტიპის კონკურსი, ფილმების ჩვენებები და დისკუსიები; მოეწყო პროაქტიული, მისალმების და განხილვის წრეები და სხვა.

მასწავლებლებთან/ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან - ცნობიერების ამაღლების, უნარ-ჩვევების გაძლიერების, რისკების გამოკვეთის და ეფექტიანი რეაგირების მიზნით, ჩატარდა ტრენინგები ისეთ თემებზე, როგორიცაა: სარისკო ქცევების პრევენცია და მათზე რეაგირება, დესტრუქციული ქცევის, კრიზისული სიტუაციების მართვა; მოწყვლადობის რისკის წინაშე მყოფი მოსწავლეების იდენტიფიცირება; სსსმ მოსწავლეთა მშობლებთან კომუნიკაციის პროტოკოლის აღსრულება; ბავშვთა უფლებები და ანტიდისკრიმინაციული მიდგომები. ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები, კრიზისული სიტუაციების მართვის პროტოკოლის

გაცნობის მიზნით. მოხდა LSCI მეთოდის შესახებ მასწავლებლებისთვის ინფორმაციის მიწოდება. პედაგოგები გაეცნენ აღდგენით მიდგომებს, ბულინგის სქემას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

მშობლების მონაწილეობით - გაიმართა შეხვედრები და ტრენინგები შემდეგ თემებზე: ძალადობის, მათ შორის, ბულინგის ნიშნების ამოცნობა, რეაგირება და პრევენცია; ბავშვის განვითარების ეტაპები; მოზარდობის ასაკის თავისებურებები; დასჯა-წახალისება; პოზიტიური მშობლობა; ძალადობრივი და დესტრუქციული ქცევის პრევენცია; სსმ და შშმ მოსწავლეთა მხარდამჭერი ღონისძიებები. მომსახურებებთან ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მშობლებს მიეწოდათ ინფორმაცია მომსახურებების განახლებული რუკის შესახებ.

განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეებისთვის გარემო გახდა მეტად მხარდამჭერი, გაღრმავდა თანამშრომლობა სკოლაში მომუშავე სუბიექტებს შორის; მიმდინარეობს პროაქტიული ჩარევა გამოკვეთილი პრობლემების აღმოფხვრის მიზნით; გრძელდება საკლასო კლიმატის ცვლილება. სოციალურ მუშაკსა და სასკოლო თემს შორის აქტიური ინტერაქციის შედეგად, გაიზარდა ნდობა და ამაღლდა ცნობიერება სოციალური მუშაობის შესახებ, ასევე, იმ საკითხების მიმართ, რაც მოსწავლეთა საჭიროებების ამოცნობასა და იდენტიფიცირებას, მათზე ჯეროვნად რეაგირების ღონისძიებებს უკავშირდება. აღნიშნულმა, თავის მხრივ, განაპირობა მომართვიანობის ზრდა, როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეებისა და მათი მშობლების მხრიდან.

2024 წლის განმავლობაში, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სოციალურ მუშაკთა მიერ, სკოლაში საქმიანობის განხორციელების დროს გამოკვეთილი საკითხების, სოციალურ მუშაკთა სემესტრული საქმიანობის შეჯამებისა და სამომავლო გეგმებზე შეთანხმების მიზნით, მიმდინარეობდა ინტენსიური შეხვედრები საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელებთან და სასწავლო პროცესში ჩართულ სხვა სუბიექტებთან.

სოციალური მუშაობის კომპონენტით წარმოდგენილ სკოლებში გაგრძელდა ნივთიერებების მოხმარების პრევენციაზე მიმართული ორი პროგრამის განხორციელება: 13 წლამდე ასაკის მოსწავლეებისათვის - პროგრამა მტკიცებულებითი მეთოდის გამოყენებით (EU DAP

Unplugged Program) ,,ცოცხალი შესრულებით, ანუ ფონოგრამის გარეშე“ და ნარკოპრევენციის პროგრამა 13 წლის ზევით მოზარდებისთვის - ,,სარისკო ქცევების პრევენცია''.

2024 წელს, 13 წლამდე ასაკის მოსწავლეებისათვის პროგრამა მტკიცებულებითი მეთოდის გამოყენებით (EU DAP Unplugged Program) სრულად ჩატარდა საქართველოს 24 საჯარო სკოლის 26 კლასში.

აღნიშნულ მოდულს, 2022 წელს, მოსწავლეთა მშობლების კომპონენტიც დაემატა. მშობელთა კომპონენტის მთავარი მიზანია, გაზარდოს მშობლებში ოჯახთან დაკავშირებული რისკისა და დამცავი ფაქტორების შესახებ ცნობიერება, რაც ადრეული მოზარდობის ასაკში ნივთიერებების მოხმარებას უკავშირდება და წაახალისოს ისინი, გამოიყენონ ავტორიტეტული აღზრდის სტილი. პროგრამა ჩაუტარდა 10 საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლების 11 ჯგუფს.

2024 წლის განმავლობაში, 13 წლის ზევით მოზარდებისთვის - ,,სარისკო ქცევების პრევენციის“ პროგრამით გათვალისწინებული სესიების რაოდენობა სრულად ჩატარდა საქართველოს 97 საჯარო სკოლის 132 კლასში.

სოციალური მუშაობის კომპონენტით წარმოდგენილ სკოლებში, მე-4, მე-5, მე-6, მე-9, მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეებისთვის სოციალურმა მუშაკებმა დაიწყეს ცხოვრებისეული უნარების განვითარების პროგრამის განხორციელება. 2024 წლის განმავლობაში, პროგრამით გათვალისწინებული სესიები სრულად ჩატარდა საქართველოს 109 საჯარო სკოლის 370 კლასში (გაზაფხულის სემესტრში - 45 სკოლის 121 კლასში, ხოლო შემოდგომის სემესტრში - 64 სკოლის 249 კლასში).

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სოციალური მუშაკები, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, აქტიურად განაგრძობდნენ მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერებამდე სკოლებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების მომართვის საფუძველზე შესაბამისი საქმიანობის განხორციელებას, მათ შორის: მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩასართავად დასახული ღონისძიებების გაუტარებლობის მიზეზების დადგენას და/ან მიღწეული შედეგების მდგრადობის შეფასებას; მოსწავლის ოჯახში ვიზიტს; ვიზიტის თაობაზე ანგარიშის მომზადებას; სამოქმედო გეგმის შედგენასა და შემაჯამებელი დასკვნის მომზადებას.

მოსწავლის სტატუსის შეჩერების მიმართულებით, 2024 წლის განმავლობაში, სოციალურმა მუშაკებმა, თბილისსა და რეგიონებში, რეაგირება მოახდინეს 295 მომართვაზე. აქედან, მოსწავლის სტატუსის შეჩერების რისკი აღმოიფხვრა 163 შემთხვევაში, ხოლო მოსწავლეს სტატუსი შეუწყდა 91 შემთხვევაში. სტატუსის მიუხედავად, 41 შემთხვევაზე მიმდინარეობს

მუშაობა, მათ შორის, სტატუსის აღდგენის მიზნით. შესწავლილი შემთხვევებიდან, 57 შემთხვევაში - დამატებით ჩაერთო სხვა შესაბამისი უწყება/მომსახურება.

მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის კომპეტენციის მიღმა არსებული მომსახურების მიღების მიზნით, სხვადასხვა მომსახურების მიმწოდებელ სამსახურში, ცენტრის მიერ, 744 მოსწავლე გადამისამართდა. ცენტრის სპეციალისტები აქტიურად თანამშრომლობენ შემთხვევებში ჩართულ უწყებებთან და მონაწილეობენ მულტისექტორულ შეხვედრებში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საგანმანათლებლო დაწესებულების ფსიქოლოგთა, სოციალურ მუშაკთა და ფსიქიატრთა პროფესიული უნარების გაძლიერების მიზნით, გრძელდებოდა განგრძობითი განათლების უწყვეტი პროცესი.

ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის თანამშრომლები, როგორც შიდა რესურსით, ასევე სხვადასხვა ექსპერტის მიერ, გადამზადდნენ ისეთ საკითხებში, როგორიცაა:

- GEV-B მეთოდი, მიჯაჭვულობის ინსტრუმენტის შესწავლა;
- მულტიგუნდის ეფექტიანი მუშაობა;
- ბავშვთა და მოზარდთა სუიციდის პრევენციის გზამკვლევი მანდატურის სამსახურისთვის;
- ინფექციების გავრცელება და პრევენცია;
- ძალადობა გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობა;
- რელიგიისა და რწმენის თავისუფლება;
- ადამიანის უფლებათა სწავლების პროგრამა;
- კრიზისული ინტერვენცია ცხოვრებისეულ კონტექსტში (LSCI);
- დესტრუქციული ქცევის ამოცნობა და პრევენცია;
- ფსიქიკური ჯანმრთელობა;
- AERO - რეცეპტი ბედნიერი, დაბალანსებული ცხოვრებისთვის;
- მშობელთა ფსიქოკონსულტირება და თვითდახმარება;
- ტრავმირებული ბავშვებისა და მოზარდების ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქოსოციალური დახმარება;
- არტი და დრამა თერაპია;
- სასკოლო მედიაცია;
- ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისგან დაცვა;
- ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი ძალადობა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, 2024 წელსაც განაგრძობდა უკრაინაში მიმდინარე ომით დაზარალებული ბავშვებისა და მოზარდებისთვის უსასყიდლო ფსიქოსოციალური მომსახურებისა და საკონსულტაციო სერვისის მიწოდებას.

აღნიშნული მიმართულებით კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგებმა და სოციალურმა მუშაკებმა საქართველოში გაეროს

ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობის მხარდაჭერით ორგანიზებული, ლტოლვილი ბავშვებისა და მოზარდების ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოსოციალური დახმარების ტრენინგი გაიარეს. ტრენინგზე განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიცა: ომი და ფსიქიკური ჯანმრთელობა; ტრავმული სტრესი, მისი მახასიათებლები და გამოვლინებები; ფსიქოსოციალური ჩარევის პრინციპები და სტაბილიზაციის მეთოდები; პრევენცია.

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურსა და აშშ-ის საელჩოს მშვიდობის კორპუსს შორის თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს ამერიკელი მოხალისე - სოციალური მუშაკი, ომის შედეგად დაზარალებულ ბავშვებთან მუშაობის მიზნით, ქართველ და უკრაინელ კოლეგებთან ერთად, აქტიურად აგრძელებდა სხვადასხვა მიზანსა და ამოცანაზე ორიენტირებული ღონისძიებების ჩატარებას, მათ შორის, ისეთ თემებზე, როგორიცაა: ტოლერანტობა, ჯგუფური მუშაობა, თვითშეფასება, თვითგამოხატვა და ა.შ.

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, იაპონიის საელჩოს, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შორის თანამშრომლობის ფარგლებში, უკვე რამდენიმე წელია, მასპინძლობს იაპონელ მოხალისეს - სოციალურ მუშაკს, რომელიც სოციალური მუშაობის კომპონენტით წარმოდგენილ სკოლებში ატარებს შემეცნებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებს, ისეთ თემებზე, როგორიცაა: იაპონიის კულტურა, ორიგამის ხელოვნება, იაპონური ტანისამოსი, მუსიკა, ხელოვნება და ა.შ.

2024 წლის განმავლობაში, სოციალური მუშაობისა და ფსიქოლოგიის პრაქტიკის სწავლება გაგრძელდა სტუდენტებისთვის, მანდატურის სამსახურისა და უმაღლესი სასწავლებლების თანამშრომლობის ფარგლებში (თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი).

ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრი

ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სისტემის შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით დაგეგმილი რეფორმის ფარგლებში, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№3663-XIIIმს-Xმპ, 15.11.2023) საქართველოს კანონის თანახმად, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული - ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრის (სამმართველო) სახით. განხორციელდა აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის დასაკომპლექტებლად საჭირო ღონისძიებები, კერძოდ, კონკურსის საფუძველზე შეირჩა და დაინიშნა ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრის მმართველობითი რგოლის 8 თანამშრომელი: სამმართველოს უფროსი, ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასების მომსახურების მენეჯერი, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი მომსახურებებისა და რესურსების განვითარების მენეჯერი, ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების 3 პროფესიული ზედამხედველი და ცენტრის 2 კოორდინატორი.

მომზადდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების პროექტი ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ.

2024 წლის 1 ივნისიდან, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა ოფიციალურად დაიწყო ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების მომსახურების განხორციელება. მანდატურის სამსახურს გადაეცა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის ფუნქციები და უფლებამოსილებები. ამასთან, ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების მომსახურების ფარგლებში, დაფუძნდა სპეციალიზებული საკონსულტაციო მომსახურება ქცევის, სმენის, მხედველობის, კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების მიმართულებით, რომლის უზრუნველყოფაში ჩაერთნენ მანამდე სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინდივიდუალური კონსულტანტები (ქცევის კონსულტანტები) და კონკურსის საფუძველზე შერჩეული შესაბამისი სფეროს სპეციალისტები.

ამოქმედდა ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრის ცხელი ხაზი, რომლის საშუალებითაც დაინტერესებულ პირებს ეძლევათ მათთვის საჭირო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა.

ინკლუზიური განათლების ახალი მხარდამჭერი მოდელის ფარგლებში, ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტების გუნდურობისა და პროფესიული გაძლიერების მიზნით, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი. მომსახურების უზრუნველყოფაში ჩართულ ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების ახალ სპეციალისტებს ასევე ჩაუტარდათ ორდღიანი

ტრენინგი შეფასების ინსტრუმენტების ადმინისტრირებაში. ამასთან, ორგანიზაციის „მაკ ჯორჯია“ მხარდაჭერით, ქცევის სპეციალისტებმა გაიარეს პროფესიული განვითარების ოთხდღიანი ტრენინგი.

ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების მომსახურების ფარგლებში მომართვებისა და ანგარიშგების სისტემის გაუმჯობესების მიზნით, დაიწყო მუშაობა ახალი ელექტრონული პროგრამის მომზადებაზე, რომლის ინტეგრირებაც დაგეგმილია მანდატურის სამსახურის ელექტრონულ სისტემაში (erofficer.emis.ge).

ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითრების მიზნით, მომზადდა: ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასების დასკვნის ხარისხის მონიტორინგის კრიტერიუმები; რთული ქცევის მიმართულებით სპეციალიზებული საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფის პროტოკოლის სამუშაო ვერსია; ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების მომსახურების მიღებაზე მომართვის და შეფასების დასკვნების ახალი ფორმები, რომელთა გამოყენებაც ხორციელდება პილოტირების რეჟიმში. ასევე, განხორციელდა აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეთა ინტეგრირებული კლასებისთვის 2018 წელს შემუშავებული კონცეფციის რევიზია და მასზე დაყრდნობით, მომზადდა ინტეგრირებული კლასების მომსახურების ხარისხის მონიტორინგის კრიტერიუმები. გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, შეიქმნა რამდენიმე დოკუმენტის სამუშაო ვერსია: ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების მომსახურების ხარისხის მონიტორინგის შიდა სისტემა; ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტების უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემა; არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის ფსიქოსაგანმანათლებლო მომსახურების გაწევის ფარგლებში თარჯიმნის მომსახურების უზრუნველყოფის პროცედურა; ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერ ცენტრსა და მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრს შორის თანამშრომლობისა და მულტიდისციპლინური პრინციპით მუშაობის პროცედურა.

ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრისა და ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების მომსახურების შესახებ ინფორმირების გაზრდის მიზნით, ორგანიზაციის - „მაკ ჯორჯია“ მხარდაჭერით, დაიწყო

მუშაობა სხვადასხვა ციფრული საინფორმაციო მასალის მომზადებაზე, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და ჟესტურ ენებზე.

ამჟამად, ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების, მათ შორის, სპეციალიზებული საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფაში ჩართულია 80 სპეციალისტი, აქედან - 55 სპეციალისტი ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის უფლებამონაცვლეს წარმოადგენს, ხოლო 25 სპეციალისტი უზრუნველყოფს სპეციალიზებულ საკონსულტაციო მომსახურებას: ქცევის სირთულეების მიმართულებით - 20 სპეციალისტი; სწავლის კომპლექსური სირთულეების/აუტიზმის მიმართულებით - 3 სპეციალისტი; სმენის სირთულეების მიმართულებით - 1 სპეციალისტი; კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების სირთულეების მიმართულებით - 1 სპეციალისტი.

მიმდინარე წლის 1 ივნისიდან 15 დეკემბრის ჩათვლით, ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერ ცენტრში ოფიციალურად შემოვიდა 3 095 მომართვა სხვადასხვა ტიპის მომსახურების, მათ შორის, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების შერჩევაში, სკოლებისთვის მხარდაჭერის უზრუნველყოფის თაობაზე. აღნიშნულ პერიოდში, მომართვების საპასუხოდ, უწყვეტად ხორციელდებოდა ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების მომსახურების გაწევა, მათ შორის, პროფესიული სუპერვიზია აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეებისათვის განსაზღვრულ ინტეგრირებულ კლასებში, ა(ა)იპ - ბავშვთა ჰოსპისში -„ციცინათელების ქვეყანა“ და მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში მყოფი და ქრონიკული დაავადების მქონე ჰოსპიტალიზებული ბავშვებისათვის საგანმანათლებლო სერვისის მიწოდებაზე.

15 აპრილი - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დაარსების დღე

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დაარსების დღესთან დაკავშირებით, 2024 წლის 15 აპრილს მასშტაბური ღონისძიება გაიმართა, რომელზეც მანდატურის სამსახურმა საზოგადოებას ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის ანგარიში წარუდგინა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსმა, სოფიო აბულაშვილმა და სამსახურის სხვა წარმომადგენლებმა დეტალურად ისაუბრეს იმ პროექტებსა და პროგრამებზე, რომელსაც მანდატურის სამსახური სასკოლო კლიმატის გაჯანსაღებისა და უსაფრთხო, ზრუნვაზე ორიენტირებული გარემოს უზრუნველყოფის მიზნით ახორციელებს.

ღონისძიებაში საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურისა და პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების - გაეროს ბავშვთა ფონდის, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელები მონაწილეობდნენ.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დაარსების დღესთან დაკავშირებით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად და სანიმუშოდ შესრულებისთვის,

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები და ადმინისტრაციის თანამშრომლები მადლობის სიგელებით დააჯილდოვა.

ღონისძიებას საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, გენერალური პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის ეროვნული სააგენტოს, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების სააგენტოს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის, სახალხო დამცველის წარმომადგენლები და საქართველოს პარლამენტის წევრები ესწრებოდნენ.

ღონისძიების ფარგლებში, მოეწყო საჯარო სკოლების მოსწავლეების მიერ უსაფრთხო სკოლის თემაზე მომზადებული ნახატებისა და პოსტერების გამოფენა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური აგრძელებს განვითარებაზე ორიენტირებული პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელებას, რათა ხელი შეუწყოს ჯანსაღი, უსაფრთხო, მეგობრული და ზრუნვაზე ორიენტირებული სასკოლო გარემოს განმტკიცებას.